სს "კავკასრეესტრი"

აქციონერთა გადაწყვეტილების პროექტი

(აქციონერების სს „საქართველოს საფონდო ბირჟის" და სს „გალტ & თაგარტის" მიერ დღის წესრიგზე დამატებული საკითხების გათვალისწინებით)

30.11.2023

სს „კავკასრეესტრის" აქციონერთა კრება გაიმართა 2023 წლის 30 ნოემბერს, 12:00 საათზე, კომპანიის მისამართზე ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #74/ილო მოსაშვილის ქუჩა #11. სს „კავკასრეესტრის" აქციონერების სს „საქართველოს საფონდო ბირჟის" და სს „გალტ & თაგარტის" მოთხოვნის საფუძველზე, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 191-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სს „კავკასრეესტრის" აქციონერთა კრების დღის წესრიგს დაემატოს საკითხები და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

დღის წესრიგი

1. სს "კავკასრეესტრის" წესდებისა და სარეგისტრაციო მონაცემების დამტკიცება, საწარმოს რეგისტრაციის მონაცემების ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
2. განთავსებული კაპიტალის და აქციის ნომინალური ღირებულების ცვლილება;
3. 2022 წლის აუდირებული ანგარიშის დამტკიცება;
4. სს „კავკასრეესტრის" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ;
5. სს „კავკასრეესტრის" 2023 წლის ფინანსური აუდიტის ჩასატარებლად აუდიტორის არჩევის შესახებ.

გადაწყვეტილების პროექტი

1. **აქციონერთა კრების გადაწყვეტილება დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:**

„დამტკიცდეს წესდება წარმოდგენილი რედაქციით (იხ. დანართი), მოყვანილ იქნეს საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემები შესაბამისობაში "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონთან და აისახოს სადამფუძნებლო შეთანხმებაში.

წესდების და სადამფუძნებლო შეთანხმების რეესტრში წარდგენისა და სადამფუძნებლო შეთანხმებაზე ხელის მოწერის უფლება მიენიჭოს დირექტორს მერაბ ვარდიაშვილს.

დაევალოს მერაბ ვარდიაშვილს წარადგინოს სარეგისტრაციო დოკუმენტები საჯარო რეესტრში, სარეგისტრაციო მონაცემების კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

აქციონერთა კრების ოქმს და თანდართულ წესდებას, კანონის შესაბამისად, ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და ამავდროულად სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვახტანგ სვანაძე.“

2. აქციონერთა კრების გადაწყვეტილება დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით:

განთავსებული კაპიტალი გაიზარდოს 105 000 (ასხუთი ათასი) ლარამდე გაუნაწილებელი მოგების ხარჯზე. გამოშვებული და განთავსებული აქციების რაოდენობა დარჩეს უცვლელი - 15000 (თხუთმეტი ათასი) ცალი აქცია. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება 1(ერთი) ლარი შეიცვალოს 7 (შვიდი) ლარით.

3. აქციონერთა კრების გადაწყვეტილება დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:

„დამტკიცდეს 2022 წლის აუდირებული ანგარიში.“

4. აქციონერთა კრების გადაწყვეტილება დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:

„სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა დარჩეს უცვლელად.“

დასაბუთება: დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი განპირობებულია შემდეგით:

- აქციონერის შემოთავაზება არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და კომპანიის წესდებას;
- მოქმედ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობას, რომელიც 2015 წელს უკანონოდ იქნა შეცვლილი დომინანტი აქციონერის მიერ (რაც დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით), მისთვის წესდებით განსაზღვრული ვადა არ ამოუწურია. გარდა ამისა, თუ მოქმედი სამეთვალყურეო საბჭოს მმართველობის პერიოდში კომპანია მუდმივად გადიოდა მოგებაზე და კაპიტალი გაზრდილ იქნა 9000 %-ით, დომინანტი აქციონერის მიერ დანიშნული უკანონო მმართველობის ნამოქმედარი აქციონერებისათვის საყოველთაოდ არის ცნობილი. კერძოდ, უპირველეს ყოვლისა გაანადგურა კომპანიის კაპიტალი, უკანონო მმართველობის 8 წლის განმავლობაში კომპანია მუდმივად გაყავდა ზარალზე, რის შედეგადაც კაპიტალი კომპანიის მიერ ლიცენზიის დაკარგვის (შესაბამისად ლიკვიდაციის) ზღვარზეა მისული. დასაბუთების ფორმატი შესაძლებლობას არ იძლევა დეტალურად აღიწეროს დომინანტი აქციონერის მიერ უკანონოდ დანიშნული მმართველი ორგანოს მიერ განხორციელებულ ზიანის მომტანი ქმედებების ჩამონათვალი (თუნდაც კანონიერი

მმართველობის აღდგენისთანავე კომპანიის საოპერაციო ფართისა და თანამშრომლების გარეშე დატოვება). ამ მოცემულობით, ლოგიკურია მხარი არ დაეჭიროს სს „კავკასრეესტრის“ კონკურენტ კომპანიასთან მჭიდროდ დაკავშირებული დომინანტი აქციონერის წინადადებას „პროპორციულობის“ საფარ ქვეშ კვლავ მისი ნების გამტარებელი სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის შესახებ.

5. აქციონერთა კრების გადაწყვეტილება დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:

„სს „კავკასრეესტრის“ 2023 წლის ფინანსური აუდიტის ჩასატარებლად არჩეულ იქნას აუდიტორული კომპანია შპს „იუ ეიჩ ვაი“.

დასაბუთება:

აქციონერის შემოთავაზებაში სავარაუდოდ 2024 წელი მითითებულია შეცდომით, ვინაიდან კომპანიას ჩასატარებელი აქვს 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. გარდა ამისა, აუდიტორული კომპანია შპს „მოორ ეიბისი“, იმ პერიოდში, როდესაც სს „კავკასრეესტრს“ მართავდა უკანონო მმართველი ორგანო, სათანადოდ არ ასახავდა ამ მოვლენებს აუდიტორულ დასკვნაში. ასევე, გასული წლის ფინანსურ ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისას შპს „მოორ ეიბისის“ მიზეზით კომპანია იძულებული გახდა ფინანსური ანგარიშგება წარედგინა დაგვიანებით. გარდა ამისა, გამოკვლეულ იქნა ფასები რამოდენიმე აუდიტორულ კომპანიასთან, საიდანაც დადგინდა, რომ მოცემული მომენტისთვის აუდიტორული კომპანია შპს „მოორ ეიბისისთვის“ გადასახდელი თანხა შეადგენს 9234 ლარს, ხოლო აუდიტორული კომპანია შპს „იუ ეიჩ ვაისთვის“, რომელიც არის იგივე კატეგორიის აუდიტორული კომნპანია, იმავე მომსახურეობისათვის გადასახდელი თანხა შეადგენს მაქსიმუმ 8260 ლარს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო რეკომენდაციას უწევენ აუდიტორულ კომპანია შპს „იუ ეიჩ ვაის“.

კრების თავმჯდომარე

30.11.2023